ბრიტანულ-ქართული აკადემია
BRITISH-GEORGIAN ACADEMY

სიახლეები

სკოლის გაცდენის პოლიტიკა

ერთობლივი ძალისხმევით უნდა ვეცადოთ თავიდან ავირიდოთ და მინიმუმამდე დავიყვანოთ მოსწავლეების მხრიდან სკოლის გაცდენის შემთხვევები. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ:

- როგორც ქართული, ისე საერთაშორისო სკოლების გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ დასწრების დაბალი მაჩვენებელი (90%-ზე დაბლა) უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლის სოციალურ და აკადემიურ პროგრესზე და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასკოლო გამოცდების შედეგებზე.
- ის საერთაშორისო უნივერსიტეტები, რომლებშიც ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეებს შესაძლოა მიზნად ჰქონდეთ სწავლის გაგრძელება, დასწრებისა და პუნქტუალურობის მაღალ მაჩვენებელს ითხოვენ. დასწრების დაბალი მაჩვენებელი კი უარის თქმის მიზეზი შეიძლება გახდეს.
- მოსწავლის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება ბრიტანულ-ქართული აკადემიის მიერ გაცემული ნიშნების ფურცელში და აისახება სარეკომენდაციო წერილებში, რომლებსაც სკოლა გასცემს.
- თუ მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მას მოუწევს დამატებითი გამოცდების ჩაბარება.
- პასუხისმგებლობის გრძნობა და პუნქტუალურობა ის აუცილებელი ჩვევებია, რომლებიც მოსწავლეებს სკოლის დასრულების შემდეგ, მომავალ ცხოვრებაში უნდა გამოიყენონ.

ძვირფასო მშობლებო გთხოვთ ხელი შეუწყოთ ბრიტანულ-ქართული აკადემიის ძირითადი ღირებულებების, მათ შორის პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას და განსაკუთრებული, საპატიო შემთხვევების გარდა არ გააცდენინოთ მოსწავლეებს გაკვეთილები.



სასკოლო ფორმებისა და წყლის ბოთლები

ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში მოქმედი წესების დაცვა. ეს ხელს უწყობს განსაკუთრებულ უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბებას, ასევე, აისახება მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე. კიდევ ერთხელ გთხოვთ, იზრუნოთ თქვენი ბავშვის შესაბამისი სახით ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში გამოცხადებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ გვისაუბრია, როგორ და რა ფორმითაა დასაშვები გაკვეთილებზე დასწრება, მაინც ხშირია ამ მიმართულებით დარღვევის ფაქტები. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სასკოლო ფორმით გამოუცხადებლობის შემთხვევაში თანმიმდევრულად მივყვებით აკადემიაში მოქმედ ქცევის წესებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.



ძვირფასო მშობლებო, კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გვსურს, გავამახვილოთ ყურადღება: არსებული პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია, თქვენს ბავშვს თან ჰქონდეს ინდივიდუალური წყლის ჭურჭელი (ბოთლი). გავითვალისწინოთ, პატარა ჭიქაში თავსდება ძალიან ცოტა წყალი, ხშირად უწევს მოსწავლეს გაკვეთილიდან გასვლა ჭიქის წყლით შესავსებად, ეს არა მარტო უარყოფითად აისახება ბავშვის აკადემიურ შედეგზე, არამედ ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესის წარმატებით წარმართვას.

გთხოვთ, ხშირად ისაუბროთ ამ საკითხებსა და, ზოგადად, ქცევის წესების დაცვის აუცილებლობასთან დაკავშირებით თქვენს ბავშვთან .
დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის!

ბრიტანულ-ქართილ აკადემიაში პირველკლასელთა მიღება დაიწყო!

დეტალური ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მოგვწეროთ ელ.ფოსტაზე: info@bga.ge და გაეცნოთ ჩვენს საინფორმაციო ბროშურას: http://t.ly/XAMJ9

მოუთმენლად ველით სასკოლო საზოგადოების ახალ წევრებს!

მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამა კამპუსზე (I-IV კლ.)

კამპუსზე დაბრუნების შემდეგ მოსწავლეთა ინდივიდუალური მხარდაჭერის მიზნით ჩვენმა მასწავლებლებმა საგაკვეთილო პროცესში კომპლექსური დაკვირვების, სადიაგნოსტიკო ტესტირებისა თუ ინტერვიუების ფორმატში დაადგინეს იმ ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებები და გამოწვევები ამა თუ იმ საგანში, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო ამ ეტაპისთვის ვერ შეძლო შესწავლილი მასალის გათვალისწინებული ტემპებითა და ხარისხით ათვისება.

საჭიროებების გამოკვეთის შემდეგ ჩაინიშნა ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან დეტალური ინფორმაციის გაცვლის მიზნით. პარალელურად, Edupage-ის საშუალებით ორკვირიანი ინტერვალით ვაგრძელებთ თქვენს ინფორმირებას თქვენი შვილის აკადემიური მოსწრებისა თუ სასწავლო პროცესში ჩართულობის შესახებ.

უკვე სამი კვირაა, მხარდამჭერი მასწავლებლები ე.წ. მაღალი დატვირთვის მქონე საგნებში, როგორიცაა: ქართული, მათემატიკა, ინგლისური ენა, IPC (ბუნებისმეტყველება) თითოეული კლასის მოსწავლეთათვის მართავენ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ შეხვედრებს, მოსწავლეებს განუმარტავენ გამოტოვებულ საკითხებს, ეხმარებიან მათ ათვისებაში, უვითარებენ საგნობრივ კომპეტენციებს...

საკონსულტაციო სესიები ჩანიშნულია ძირითადი საგაკვეთილო დროის დასრულების შემდეგ. იმედი მაქვს, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ მინიმუმამდე დავიყვანოთ არსებული გამოწვევების გავლენა მოსწავლეთა აკადემიურ განვითარებაზე. მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

HOUSE COLOURS EVENT

We had our first house event since we returned to school. House colours is a simple concept; students were permitted to wear non uniform clothes as long as they are in their house colours. This was an opportunity for us all to see who is in which house, including the teachers and to have little bit of fun.



UNIVERSITY GUIDANCE COUNSELLOR

Our university guidance counsellor Ms Nina has been working closely with 11th grade students preparing for their applications next year. All 11th grade students will meet 1 to 1 with Ms Nina before the Easter break, as it's vital they begin discussing their future plans and preparing for University. If you are in the 11th grade and you haven't already done so, please make an appointment. Ms Nina has also been working with other grades and will begin a series of CV and personal statement workshops with 10th grade shortly.



კლდეზე ცოცვის აქტივობა

აკადემიის რამდენიმე მასწავლებელმა, კლდეზე ცოცვის სპეციალისტებთან ერთად, ინსტრუქტორის სასწავლო კურსი გაიარეს. მოსწავლეები ახალ საცოც კედელს სრული დატვირთვით იყენებენ. რამდენიმე კვირაა რაც ახალი და უკვე საკმაოდ პოპულარული კლდეზე ცოცვის კლუბი დავიწყეთ.



